მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
5	2 50	1 25	— 50	თფილისში.
6	3 —	1 50	— 60	თბილ. გარ.
10	5 —	3 —	1 —	საზღ. გარ.

ოდესაში მოხდა ხელ-მეორედ არეულობა. სახელმწიფო საბჭოც დათხოვნილია 20 თებერვლამდე. გლეხთა დეპუტატები ბრუნდებიან სახლში.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 29 ხუთშაბათი, 13 ივლისი 1906 წ. თბილისი № 29

ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“

„მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.

„სიმართლე“, თიხის ქოთანი, ქვაბი, მოხარშული სული, სპილენძის შუბლი და რა იქნება.

რა არის სიმართლე?

ხალხი პოლიტიკურ უღელ ქვეშ იზნიქებოდა.

სიმართლეა.

მუშები, მწარმოებლები მუდამ მუშაობდენ და ქმნიდენ, მუშაობენ და ქმნიან ქვეყნის აუარებელ სიმდიდრეს, მაგრამ ისინი მუდამ ღატაკნი არიან.

ესეც სიმართლეა.

მთავრობა ხალხს უღელს ადგამდა, ადგამს კისერზე, ამ უღელზე თვით ჯდებოდა და ზის ეხლაც და ხალხს ხიშტებით მიერეკებოდა და მიერეკება კიდევ.

ესეც სიმართლეა.

ეკონომიური, ბატონები, ბურჟუაზია ცხოვრობდენ მუშების სიკვდილით, ისვენებდნენ მუშების დაქანცვით, ძღებოდენ და ქეიფობდენ მუშების სიმშილით და მარხვით,

ესეც სიმართლეა.

წვრილი გლეხობა მიწაში ეძებდა და ეძებს ცას, ამიტომ ის ანტი-სოციალისტად და ანტი რევოლიუციონერად აღიარა სოც-დემოკრატიამ.

ესეც სიმართლეა.

როდესაც რევოლიუცია ხდებოდა და ხდება მაშინ წვრილი გლეხები უფრო სოციალისტი და რევოლიუციონერი გამოდგა, ვინემ მართლ მორწმუნე სოციალიზმის მღვდლები.

ესეც სიმართლეა.

„დუმა“ ყველაფერი იყო ზოგ სოც დემოკრატებისთვის, ზოგისთვის კი ყველაფრის ნახევარი მაინც იყო.

ესეც სიმართლეა.

„დუმა“ არაფერი და არაფრის ნახევარი გამოდგა.

ესეც სიმართლეა.

პარლამენტი და დემოკრატიული რესპუბლიკა მომავალში ყველაფერია რუსეთისთვის სოც-დემოკრატიულ პარტიის ნარკოტიულ საშვლებათა დოკტორებისთვის

ესეც სიმართლეა.

პარლამენტი არაფრის ნახევარია დასავლეთ ევროპაში მარქსიზმის ისეთ რევიზიონისტებისათვის, როგორიც ბერნშტეინია, და სრულიად უარყოფითია ისტორიულად პოლიტიკურ და ეკონომიურ ემანსიპაციისათვის.

ესეც სიმართლეა.

ჩვენმა доморощенный სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ გაზეთს „სიმართლე“ დაარქვეს.

ესეც სიმართლეა.

მაგრამ „სიმართლის“ მამის—„ლამპრის“ — სიმართლე შესდგებოდა იმაში, რომ საზოგადო სახელი „მუშა“ (нарицательное имя) გადააქციეს საკუთარ სახელად (собственное имя), კერძო საკუთრება უარჰყვეს უსულო საგნებზე და დაიარსეს სულიერ საგნებზე, რადგან თუ სულიერნი მათი საკუთრება შეიქნენ, მაშინ სულიერთა საკუთრებაც მათი იქნება.

ესეც სიმართლეა

იეზუიტები ადამიანთა სულებს უმორჩილებდენ რომის ეკლესიას და ამით უმორჩილებდენ იმავე ეკლესიას ქვეშევრდომ სულების როგორც სხეულს ისე ქონებას.

ესეც სამართლეა.

სოციალ-დემოკრატები გეგელის ისტორიის ფილოსოფიის თანახმად იეზუიტებს ედავებიან პირველობას ხსენებული იეზუიტური ტაკტიკის გამოგონებაში.

ესეც სიმართლეა.

„სიმართლე“ პაპას, თ. კიკვაძეს ისე, მოექცა თავისი უმადური შვილის შვილი, რომ ამ გვარ საქციელს არ იკადრებდა არც ერთი „პატიოსანი ღიპიანი“.

ესეც „სიმართლის“ მამის სიმართლეა.

ბაქოში ორ—ას—მა მუშამ სოციალ-დემოკრატიულ დემაგოგების მე—თა—ურ—ობით და და—ვა—ლე—ბით დადგინეს, რომ მუშები თავის თავის ძალით უნდა განთავისუფლდენ, ე. ი. მიღეს ანარქისტული გადაწყვეტილება და ამიტომ ანარქისტებს ამავე დადგენილებაში გამოუცხადეს პროტესტი.

ესეც სიმართლეა.

იმ მუშებმა, რომლებმაც ბაქოში გადაწყვიტეს თავისი საქმის თავისი ძალით გადაწყვიტა დადგინეს ამავე დადგენებაში, რომ ისინი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მონა-მორჩილი იქნებიან.

ესეც სიმართლეა.

ისინი ვინც მუდამ ბრძოლაზე **ლაპარაკობენ**, პროტესტების საშუალებით **მოქმედებენ**.

ესეც სიმართლეა.

ისინი ვინც ავტონომიის წინააღმდეგი იყვნენ უწინ და ეხლაც, გაიქცნენ ვიბორგში და ფინლიანდიის ავტონომიით ისარგებლეს.

ესეც სიმართლეა.

ისინი ვინც გუშინ პეტერბურგში სჭექდნენ ეხლა ფინლიანდიაში იერემიასებურად სტირიან „დუმის“ იერუსალიმის ნანგრევებზე.

ესეც მართალია.

მართალი არიან თიხის ქოთნები, რკინის ქოთნებთან ბრძოლაში, მაგრამ გამარჯვება რკინის ქოთანს დარჩა.

ესეც მართალია.

მართალია მოხარშული სულის პატრონებმა ხალხის რევოლიუციონური სული 27 მაისიდან მოკიდებული 8 კვირიკობისთვემდის ხარშეს, მაგრამ მათ მოულოდნელად გლეხებმა რევოლიუცია გამოჩარჩეს.

ესეც მართალია.

მართალია, რომ სოციალდემოკრატების აზრით გლეხებს ანტი-კოლექტივისტური შუბლი უნდა ჰქონებოდათ, მაგრამ თვით გამოადგათ სპილენძის შუბლი, რადგან როდესაც ჩვენში რეაქცია დადგა, მაშინ ზოგი ყოფილი დეპუტატები საზღვარგარედ წავიდენ, როგორც რეაქციის მოძულე უკიდურესი პროგრესისტები და ეხლა სახლისკენ საზღვარგარეთის ,,მოკლე გზებით‘‘ დაბრუნდებიან, რათა დროზე, ე. ი. 1907 წ. 20 თებერვლის შემდეგ უკვე ამორჩეულ დეპუტატებად დაბრუნდენ რუსეთში.

ესეც მართალია.

რა იქნება დუმის დათხოვის, ე. ი. გარეკის შემდეგ?

რა და 1907 წ. 20 თებერვალს ხელახლა ამოირჩევენ ,,დუმას‘‘.

შემდეგ რა იქნება?

შემდეგ 1907 წ. მაისში კიდევ გაისტუმრებენ „დუმას“ ,,დაჩაში‘‘

შემდეგ რა იქნება?

რა და 1908 წ. 20 თებერვლისთვის მოიწვევენ ,,დუმის‘‘ მსახიობთა ტრუპას ზამთრის სეზონზე.

შემდეგ?

შემდეგ გაისტუმრებენ საზაფხულო გასტროლებზე და ასე ამგვარად

ad infinitum.

რამოდენი ხანი უნდა სტანჯონ ხალხი სპილენძის შუბლიანებმა?

ad infinitum,

სანამ ხალხს მოთმინება არ დაეკარგება.

L. Engueuleur.

ახალი ამბავი

11 ივლისს საღამოს, როცა ვაჭარი ოსიპოვი სახლში ბრუნდებოდა სომხის ბაზარში ვიღაც ორი უცნობი თავს დაეცნენ. ერთმა მათგანმა დასჭრა ხანჯლით და მერე თავისი ამხანაგით ერთად მიიმალნენ. თავდამსხმელებმა დააგდეს ხანჯალი და ქუდი და ისე გაიქცნენ. ოსიპოვმა გაქცეულებს რევოლვერი ესროლა, მაგრამ ამაოთ, არავინ არ დაჭრილა.

— როგორც გორიდან იტყობინებიან იქ 4 ივლის 11 საათზე ქალაქის ბაღიდან მიმავალი ნოვობაიაზეთის მე-5 როტის პატრულისათვის უსროლიათ რევოლვერი. პატრულებსაც თოფით გაუციათ პასუხი. შემდეგ დაუჭერით ბუჩქებში მიმალული ნიკ. მამულაშვილი, რომელიც საპყრობილეში წაუყვანიათ. გზაზე პატრულებს მოუკლავთ მა-

მულაშვილი, რადგან მათის სიტყვით, მან გაქცევა მოინდომა.

— ქუთაისის მაზრის უფროსი იტყობინება, რომ 5 ივლის ქუთაისიდან 14 ვერსის მანძილზე ბაღდადის გზაზე ორს დილიჟანს თავსდასხმიან რამდენიმე შეიარაღებული კაცი. გაუძარცვიათ მგზავრები. მათ შორის ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწე პ. სულაძე ბაღდადის მომრიგებელი მოსამართლის მდივნის თანაშემწე რობაქიძე. გაუძარცავთ სულ 12 კაცი. წაუღიათ 7000 მ. ფულით ერთი რევოლვერი და საათი ღირებული 25 მ. შემდეგ თავსდამსხმელები მიმალულან.

—- ქუთაისის გუბერნატორი იტყობინებს კავკასიის პოლიციის გამგეს, რომ 7 ივლისს სოფელს უჩანაში, ზუგდიდის მაზრაში, თავს დასხმიან რამოდენიმე შეიარაღებული კაცი გლეხს ივ. მაკაცარიას, წაუღიათ 60 მ. ფული და 60 მ. ვერცხლის და ოქროს ნივთები. როგორც შემდეგ გამოირკვა ერთი მძარცველთაგანი აღმოჩნდარა გლეხი ბეღროგავა.

— ყუბანის ოლქიდან იტყობინებიან, რომ იქ პენზენსკასა და ცხელი წყაროს სადგურებს შუა გაუძარცავთ ფოჩტა. მოუკლავთ ფოჩტალიონი და დაუჭრიათ მეეტლე. წაუღიათ ფული, მხოლოთ რამდენიმე ჯერ არ იციან. სადაც ეს ამბავი მომხდარა გაუგზავნიათ ატამანი ყაზახებით.

— შორაპნის მაზრის უფროსი იტყობინება, რომ მღვიმევის მონასტერს თავს დასხმიან, რამოდენიმე კაცი. დაუწყვიათ კარების მტვრევა, მაგრამ ბერებს ყვირილი მოურთავთ რის გამოც თავსდამსხმელები შეშინებულან და მიმალულან.

— განჯიდან ტელეგრამით იტყობინებიან, რომ იქ 12 ივლისს მოუკლავთ ჟანდარმთა როტმისტრი რიდჩერი.

— 12 ივლისს დილის 8 საათზე პოლიციის მე-3 უბანში განუცხადებია ვიაზინის სამრევლო სკოლის მასწავლებელს, რომ, როცა ის ყარსის რკინის გზით, ქალაქში სადგურზე ჩამოსულა შეხვედრია ერთი კაცი, რომელსაც წინადადება მიუცია „იუჟნი ნომრებში“ წასვლაზე. ისიც დაყოლია ნებას და მისულან ნომრებში. მათ შემოერთებიათ ერთი მაღალი კაცი, რომელსაც გორკოზოვისთვის (მასწავლებლის გვარია) გადაუცია პორტმანე, რომელშიაც თითქოს უნდა ყოფილიყვეს 700 მ., თუმცა ნამდვილად მხოლოთ 8 მ. ყოფილა. როცა პორტმანი უკანვე მოუთხოვიათ მასწავლებლისათვის ფულის მოპარვა დაუბრალებიათ, რისთვისაც ორთავე ამხანაგს მასწავლებელი გაუჩხრეკიათ და წაუღიათ 146 მ. მასწავლებელმა აღარ იცის რა ჰქნას და არც იცის თუ ვინ იყვნენ ეს პირები.

— 11 ივლისს დილის 10 საათზე რუსის ქუჩაზე მიკიტნის ს. პოლოსოვის დუქანში ფანჯრიდან შეცვივულან 2 უცნობი კაცი. წაუღიათ საათი და ტანსაცმელი. პოლიციას ექვით დაუპატიმრებიათ ერთი უცნობი პირი, რომელსაც წარუდგენია საფარიანცის პასპორტი და თავისი თავიც საფარიანცათ დაუსახელებია. პოლოსოვმა მასში იცნო ერთი მძარცველთაგანი.

— პოლიციის მე 9 უბანში განუცხადებია მ. იორდანოვს, რომ როცა 7 ივლისს იგი საღამოს სახლში ბრუნდებოდა ვიღაც ბოროტ გამზრახველებს დაუკრავთ ორჯერ ჯოხი რისგანაც ის (იორდანოვი) წაქცეულა, ამით უსარგებლებიათ მათ ამოუძვრიათ ჯიბიდან 35 მანეთი და მიმალულან.

აწ განსვენებულს შიო ჩიტაძეს!

კვლავ გავიგონეთ, რომ შავ-ბნელ ძალებს მთავრობისას წუთი სოფელს გამოუსალმებიათ საუკეთესო მუშაკი! კვლავ განაგრძობს საზიზღარი ბიუროკრატია თავის უდანაშაულო, პატიოსან ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას და დარბევას! არ იქმნა და არა, აღარ მოეღო ბოლო ამდენ უდანაშაულო, უმანკო მსხვერპლებს ხულიგანთა ბრბოსაგან. ზოგიერთები კი ჰფიქრობდნენ, რომ რაკი სათათბირო შესდგა, მთავრობის ველურ

საქციელს ბოლო მოეღებოდა...
გრამ მოსტყუვდნენ ჩვენი ბურ...
ზიული პარტიები, რომლებიც ...
ელოდნენ ხსნას „დუმისაგან“; ...
სფერს სთმობს დახავსებული ბიურ...
კრატია უბრძოლველად. კიდევ ...
მოჰგლიჯა ხალხს საუკეთესო ...
ლი, ყოვლად პატიოსანი და ...
იდეალისტი, საუკეთესო პედაგ...
და ლიტერატორი შიო ჩიტაძე! ...
მწუხარო და სავალალო ჩვენთ...
ის არის, რომ ამ უანგარო ...
შაკს გარს ეხვია ავაზაკთა, ბრბ...
სასტიკად აწამებდნენ, ...
სჩხვლეტდნენ ხიშტებით და ...
მებდნენ წუთი სოფელს, და ჩვენ...
ვერ უშველეთ, ვერ დავიხსენ...
საზიზღარ მტარვალების კლან...
დან, ვერ ვიხსენით და გახდა ...
რპლი ბარბაროსულ მოქმედები...
ჩვენ, მუშები, სასტიკ ზიზღს ...
ხადებთ მთავრობას და ვფიცავ...
შიოს წმინდა ცხედრის წინ...
ვფიცავთ ჩვენს წმინდა იდეა...
რომ ჩვენ არ შევარჩენთ ...
ვეთ შიოს უმანკო სისხლს, არ ...
ვარჩენთ მტარვალებს და ერთი ...
უზღამთ მათი განკითხვის დღეს, ...
თი ცოდვილი სისხლით მოვრწყ...
და შევღებოთ ქუჩები, და ალგ...
დედამიწის პირიდან ყოველივე ...
ყალბე, უსამართლობა შეერთე...
ლის ძალით მშრომელი ხალხი...
თქვენი ღვაწლი და მოქმედება ...
დაუღალავო მუშაკო, დაუვიწყ...
იქმნება სანამ იარსებებს ქართვე...
ერი.

ფელეტონი

—

თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინის.)

(გაგრძელება)

მეორე მხრით, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოების საზღვრებზე უკვე გამოცხადებული იყო ეკონომიურ განთავისუფლების იდეები.

1793 წ. ინგლისს მოევლინა გოდვინი თავისი ფრიად შესანიშნავი თხზულებით,—„გამოკვლევა პოლიტიკურ სამართლიანობისა და მისი გავლენისა საერთო ზნეობაზე და ბედნიერებაზე“, სადაც ის გამოვიდა უსახელმწიფოებრ-ეო სოციალიზმის, ე. ი. ანარქიზმის თეორეტიკოსათ; ბაბეფი კი, განსაკუთრებით, როგორცა სჩანს, ბუონაროტტის ზედგავლენით, გამოვიდა 1796 წ. ცენტრალისტურ — სახელმწიფოებრივი სოციალიზმის თეორეტიკოსათ

შემდეგ ჩნდებიან ფურიე, სენ-სიმონი და რობერტ ოვენი, სამი დამაარსებელი თანამედროვე სოციალიზმისა სამ მჯავარ სკოლებათ, რომელნიც ამუშავებენ წარსულ საუკუნის მიერ უკვე აღნიშნულ საფუძვლებს,—მეორმოცე წლებში კი პრუდონი, რომელიც არ იცნობდა გოდვინს, ხელ-ახლა უყრის საფუძვლებს ანარქიზმს.

ამ ნაირათ, სახელმწიფოებრივ სოციალიზმს მეცნიერული საფუძვლები დაედვა,—სრულიათ, თუმცაღა ეს სულ არ არის დაფასებული თანამედროვეებთაგან,—მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. მხოლოდ ორ პუნქტში, რომლებიც უეჭველათ დიდათ საჭიროა, თანამედროვე სოციალიზმმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ის შეიქმნა რევოლიუციონური და გასწყვიტა კავშირი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ის მიხვდა, რომ მისი იდეალების განსახორციელებლათ საჭიროა სოციალური რევოლიუცია—და არა იმ აზრით, რომლითაც ხანდახან ამბობენ „სამრეწველო რევოლიუციაზე“ ან და „რევოლიუცია მეცნიერებაში“, არამედ სიტყვა „რევოლიუციის“ ნამდვილი, ნივთიერი აზრით, ე. ი. თანამედროვე საზოგადოების საფუძველთა ძირიან-ფესვიანათ დანგრევის აზრით. და მას აღარ აურევდაურევია თავისი შეხედულებანი ქრისტიანულ რელიგიის საოცნებო —რეფორმაციონულ შეხედულებებთან. მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე გაკეთებული იყო გოდვინისა და რობერტ ოვენის მიერ. რაც შეეხება ცენტრალისტურ მთავრობის თაყვანისცემას და მორჩილების (დისციპლინის) ქება-დიდებას, რომელშიდაც ბრალი უდევს, ყველაზე უფრო, საშუალო საუკუნოების ეკლესიას და საზოგადოთ საეკლესიო მართველობას,—ეს „დრომოჭმული“ რწმენანი აქამდისაც კი შერჩათ მრავალ სოციალისტებს, რომლებიც ამნაირათ, კიდევ ვერ გაუსწორდენ თავის ორ ინგლისელ მამათმთავრებს.

* * *

იმაზე, თუ რა გავლენა იქონია მეცნიერებათა განვითარებაზე დიდი რევოლიუციის შემდეგ დაწყებულმა რეაქციამ, საძნელო იქნებოდა ვილაპარაკო ამ წერილში*). საკმარისი იქნება ვსთქვა, რომ უმეტესი ნაწილი იმისი, რითაც ამაყობს თანამედროვე მეცნიერება, უკვე აღნიშნული იყო,—ვიტყვი უფრო მეტს, გამოთქმული იყო ხანდახან გარკვეულ მეცნიერულ ფორმაში ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში. სითბოს მექანიკური თეორია და მოძრაობის მოუსპობლობა (ენერგიის შენახვა), სახეების ცვალებადობა გარეშემორტყმულ წრემიდამოს ზედგავლენით, ფიზიოლოგიური ფსიხოლოგია, ისტორიის, რელიგიათა და კანონმდებლობათა ანთროპოლოგიური გაგება აზროვნების განვითარების კანონები,— ერთი სიტყვით, მთელი მექანიკური

*) ცოტა რამ ამის შესახებ ნათქვამია ჩემ ინგლისურ ლექციაში „მე-XIX-ე საუკუნის მეცნიერულ განვითარებაზე.»

მსოფლიო მხედველობა ... სინტეტ...
რი ფილოსოფია (ფილოსოფია ...
მელიც შეიცავს ყველა ფიზიკ...
ქიმიურს, სასიცოცხლო და სა...
გადოებრივ მოვლენებს, როგორ...
ერთი მთელი) უკვე იყვნენ აღნი...
ნული და ზოგ ნაწილათ განხორ...
ციელებულიც წარსულ საუკუნ...
მაგრამ დგება თუ არა რეაქცი...
მთელი ნახევარი საუკუნის გან...
ლობაში ამ აღმოჩენებს არ აძლევ...
გასავალს მეცნიერები სდუმან ...
შესახებ, ან და აცხადებენ მათ ...
მეცნიურულათ! ფაქტების შესწავლ...
და „მეცნიერული მასალის მოგრო...
ვების“ მიზეზით უარყოფილია მეც...
ნიერებისაგან ისეთი ნამდვილი საზ...
მავიც კი (измѣреніе) როგორი...
არის განმარტება მექანიკური ძალ...
სა, რომელიც საჭიროა სითბოს ...
თუ იმ რაოდენობის მისაღებათ (სი...
თბოს მექანიკურ ეკვივალენტ ... გა...
მარტება მეიერის მიერ). ...
გლისის მეცნიერებათა აკადემ...
უარს ამბობს დაბეჭდოს გამოკვლ...
მხოლოთ იმიტომ, რომ ის, „...
არის მეცნიერული“. გროვეს შეს...
ნიშნავი შრომა კი რომელიც ...
მიიღო თავისი თავზე 1843 წ. ფი...
ზიკურ ძალთა ერთობის გამოკ...
ვლევათ, რჩება 1856 წლამდი სრუ...
ლიათ უყურადღებოთ. მხოლოდ ...
გავეცნობით ამ ორმოცდაათი წლ...
ნამდვილ მეცნიერებათა ისტორი...
შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის ბნე...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მებრძოლო. შიო!

ლალიძის ქარხნის მეშვების მონდობილობით ხელს ვაწერ იაკობ კიორგის-ძე ტაბატაძე.

ნიმუში ზოგიერთ ვაჟ-ბატონ სოც.-დემოკრ. საქციელისა.

რეაქციის დადგომასთანავე სოფ. გოდოგნის (ქუთ. მაზრა) ერთ სტუდენტმა თავი ისახელა „დანოსების“ წერით: ესა და ეს კაცი აგიტატორია, ეს რაიონის წარმომადგენელი, ეს წითელი რაზმელია და სხვა. სოფლის მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, არ გამოელოდა ხსენებულ ვაჟ-ბატონისაგან ამისთანებს, რადგან მას წინათ ხალხის მეგობრად მოჰქონდათო თავი, აგიტაციას ეწეოდა სოც.-დემოკრ. სახელით და ვითომ და ხალხის ინტერესებს იცავდა, მაგრამ მოვსტყუვდით, რადგანაც როგორც კი შეიცვალა დრო და რეაქციამ თავი წამოჰყო ეს ჩვენი „დამცველი“ სოც-დემოკრატი უკიდურესი რეაქციონერი გახდა და ბიუროკატიული კანცელარიები დანოსებით აავსო. მაგრამ ჩვენ და საბედნიეროთ და მის და საუბედურად მისმა დანოსებმა ფუჭად ჩაიარეს. რა დაინახა ამ ვაჟ-ბატონმა, რომ დანოსებით ვერას გახდა, დაერია მიწის მოიჯარადრე გლეხებს და გამორეკა ნახევრად დამუშავებულ ყანებიდგან. ამან მშრომელი გლეხობა ძლიერ აღელვა და ბოიკოტის გამოცხადება დაუპირეს, რომ გამხეცებულმა რეაქციამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა შეაჩერებინა. თანაც ეს ვაჟ-ბატონი ემუქრებოდა ხალხს, რომ თუ რამე გაგიბედნიათ ჩემს წინააღმდეგ ეცხეკუცას ჩავაყენებ და მთელ სოფელს გადავაწვევინებო. იმის მოწმე ჩვენ თვითონა ვართ, რომ საწყალ გლეხს მთელი კვირაობით რაღაც „კანდრახტების“ წერაში აკარგვინებდა დროს და შემდეგ იმასაც ურევდა და გადაუყრიდა; მერე თვითონ უწერდა შავს და უბრძანებდა გადაწერინე და თანახმა იყავი ამ კანდრახტის, თორემ შენგნით დამუშავებულ ყანაში ფეხს არ ჩაგდგმევინებო. რაღა უნდა ექმნა საწყალ უმიწო გლეხს იძულებული იყო ხელი მოეწერა იმისთანა პირობებზე, რომელიც ამ მატყუარა სოც. დემოკრატისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. მამა და შვილი (მამა უკვე ჯაშუშად იყო გამოცხადებული ფურცელში) გზაზე არ უშვებენ ხალხს, წყაროდან წყლის სარგებლობას უკრძალავენ, ნაყიდ შეშას ხშირად არ ანებებენ და სხვა. მაგათი უსინდისო ქცევა ბშრომელი ხალხის წინააღმდეგ უანგარიშოა, ჩვენ სოფლის გლეხებს, ეკვი გვაქვს და არც გვჯერა ამ ვაჟბატონის სოც.-დემოკრატობა, თუმცა ჩვენ დანამ-

---

ლი წყვიდიადი რომელმაც მოიცვა ევროპა შინ მთელი ევროპა.

ფარდა ჩამოიხია ერთბაშად, მეორმოცდაათე წლების ბოლო ხანებში, როცა დასავლეთ ევროპაში დაიწყო ის ლიბერალური მოძრაობა, რომელსაც მოჰყვა ჩვენში, რუსეთში, ბატონყმობის მოსპობა, გაშოლტვის და გატყეპა-გამათრახების მოსპობა, რომელმაც ფილოსოფიაში დაამხო შელინგი და ჰეგელი, ცხოვრებაში კი დაჰბადა გაბედული ურყოფა გონებრივი მონობისა და ავტორიტეტისა, და ზნე—ჩვეულებათა თაყვანისცემისა, რომელიც ცნობილია ნიღილიზიზის სახელით საყურადღებოა შევნიშნოთ აქ, თუ რავდენათ დაეხმარენ მეოცდაათე და მეორმოცე წლების სოციალისტური მოძღვრებანი, აგრეთვე 1848 წ. რევოლიუცია, მეცნიერებას მოგშორებინა მას ის ბორკილები, რომლებიც დაადვა მას რეაქციამ რევოლიუციის შემდეგ. რომ არ შევუდგეთ ამ წვრილმანის განხილვას, საკმარისია ვსთქვათ. რომ ხვეთ მოხსენებული სეგენი და ოგიუსტენ ტიერი (ისტორიკოსი, რომელმაც საფუძველი დაუდო საკრებულო წესწყობილების და ფედერალიზმის შესწავლას) იყვნენ სენსიმონისტები; რომ დარვინის თანამოლაწე ალფრედ რუსელ უოლლეს ახალგაზდობასაც იყო რობერტ ოვენის მხურვალე მიმდევარი; რომ ავგუსტ კონტი სენსიმონისტი იყო რიკარდო და ბენტამიკი—ოვენისტები; და რომ მატერიალისტებმა კარლოს ფოღტმა ჯ ლუისმა, აგრეთვე მილმა, გროკემ და სპენსერმა და მრავალმა სხვამ გამოსცადეს თავისი თავზე მეოცდაათე და მეორმოცე წლების განმათავისუფლებელ რადიკალურ-სოციალისტურ მოძრაობის გავლენა. თავისი მეცნიერული გამბედაობა მათ ამოჰკრიბეს ამ გავლენისაგან.

გროვეს, ჯოულის, ბერტელოს, ჰელმჰოლცის, დარვინის, კლოდბერნარ-ს, მოლეშოტის და ფოღტის, ლაიელის, ბენის, მილლის და ბიურნუფის თხზულებათა ერთ და იმავე დროს გამოქვეყნებამ მოკლე ხუთი წლის განმავლობაში (1856—1862) სულ ერთიანად შესცვალა მეცნიერების ძირითადი შეხედულებანი. მეცნიერება ერთბაშად დაადგა ახალ გზას. გამოკვლევათა სულ ახალი დარგები გაჩნდნენ საკვირველი სისწრაფით. მეცნიერება ცხოვრებაზე (ბიოლოგია), ადამიანთა დაწესებულებებზე (ანთროპოლოგია), გონებაზე, ნებაზე და ენება-სურვილზე (ფსიხოლოგია), უფლების და რელიგიის ისტორიაზე, და სხვ., რომლებიც გვაოცებენ თავისი ზოგადი აზრების გამბედაობით და თავისი დასკვნების კადნიერებით, აღმოცენდნენ ჩვენს თვალ წინ. ის, რაც წარსულ საუკუნეში იყო გენიოსუ-

---

ფერ ვიცით ამაზე უარესი მოქმედება ზოგიერთ ს.-დემოკრატებისა. აი მაგალითები: „ერთმა სოც.-დემოკრატების წითელმა რაზმელმა მეურმე გაძარცვა, საწყალო ფულის უქონლობის გამო გოქებსა და სხვა საოჯახო ნივთებს უყიდდენ, ფულები მოაგროვეს იარაღის შესაძენად, მაგრამ არც ფული და არც იარაღი არ გამოჩენილა, სოც.-დემოკრატების წარმომადგენელმა ჯ ასის თუ ათის თავებმა ქალი მოიტაცეს, მოხუცებული ქალის დედა წიხლებით ჩაჰქოლეს და ქალისთვის და მისი მშობლებისათვის არა სასურველ კაცზე ჯვარი ძალათ დაწერინეს. წარმომადგენელი და ასისა და ათის თავები ისეგაგვიბატონდენ რომ მაზრის უფროსებისა და ბოქაულებისაგან არაფერი მოგველანდებია იმისი მზგავსი: სიმართლეზე ხმის ამოღება არ შეგეძლო თუ რომ მათი ნება არ გვექნებოდა. ერთმა წარმომადგენელმა ისიც კი გამოგვიცხადა, „რომ მე მუქთათ ვერ ვიკლი, ჯამაგირი უნდა დამენიშნოს და სოფლის ცხენები უნდა მყავდესო“.

მე მგონია ამ ფაქტებს ბევრი „შალაშინი“ აღარ ეჭირვება; ვიტყვით მხოლოდ რომ ერთი გათახსირებული მთავრობის მოშორებას რომ ვეღირსოთ, მეორე, თურმე, უარესი მთავრობა გვეყოლება. მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს: მქადაგებული რომ მოვიდოდა, სულ სხვა რამეს

ავადმყოფობა ძალიერ ააღელვა და ბოიკოტის გამოცხადება დაუპირეს, რომ გამხეცებულმა რეაქციამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა შეაჩერებინა. თანაც ეს ვაჟ-ბატონი ემუქრებოდა ხალხს, რომ თუ რამე გაგიბედნიათ ჩემს წინააღმდეგ ეცხეკუცას ჩავაყენებ და მთელ სოფელს გადავაწვევინებო. იმის მოწმე ჩვენ თვითონა ვართ, რომ საწყალ გლეხს მთელი კვირაობით რაღაც „კანდრახტების“ წერაში აკარგვინებდა დროს და შემდეგ იმასაც ურევდა და გადაუყრიდა; მერე თვითონ უწერდა შავს და უბრძანებდა გადაწერინე და თანახმა იყავი ამ კანდრახტის, თორემ შენგნით დამუშავებულ ყანაში ფეხს არ ჩაგდგმევინებო. რაღა უნდა ექმნა საწყალ უმიწო გლეხს იძულებული იყო ხელი მოეწერა იმისთანა პირობებზე, რომელიც ამ მატყუარა სოც. დემოკრატისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. მამა და შვილი (მამა უკვე ჯაშუშად იყო გამოცხადებული ფურცელში) გზაზე არ უშვებენ ხალხს, წყაროდან წყლის სარგებლობას უკრძალავენ, ნაყიდ შეშას ხშირად არ ანებებენ და სხვა. მაგათი უსინდისო ქცევა ბშრომელი ხალხის წინააღმდეგ უანგარიშოა, ჩვენ სოფლის გლეხებს, ეკვი გვაქვს და არც გვჯერა ამ ვაჟბატონის სოც.-დემოკრატობა, თუმცა ჩვენ დანამ-

---

ბრ. ... ...

„ოქვენ კარგად იცით მე მამიდა,
მადადი სწავლა და განთლება,
და ოქვენთან თავი რომ კავეადრა
არ შემშვენდება არც მეკადრება.

—

დიდითა ადრე „სხეათა“ ხელში
და ხორის მთაზედ მე დავსეირნობ,
მაგრამ გლეხეთ რომ ვიმუშავო,
ნასწავლი რომ ვარ—არ დამშვენდება.

—

გლეხისგან შეტი რომ არ ავიდო,
შემოსავალი ცოტა მექმნება
ვინც რომ რას იტყვის ეუკადს რომ
ეუკე
მე სტუდენტი ვარ—არ მეკადრება“.

აი, ბატონებო, როგორი ს.-დემოკრატი ბრძანდება ეს ვაუბატონი, რომელიც უნდა იყოს ჩვენი გზის მაჩვენებელი. ჩვენ ამ წერილში მესამედიც არ აღგვინიშნავს იმისი, რაც ამ ვაუბატონმა ჩაიდინა თუ საჭირო შეიქნება ჩვენ შემდეგისთვის წარმოვადგენთ დანოსების ნამდვილ კოპიოებს და ამ სტუდენტის სახელს და გვარს გამოვაშკარავებთ; მხოლოდ მოვითხოვთ ბბ. სოც.-დემოკრატებისიგან გამოაშკარავონ: მართალია აქვს რამე დამოკიდებულება პარტიასთან თუ არა ამ სტუდენტს რომ შეეიძლოთ ჯეროვანი პატივი ვცეთ ამ ვაუ-ბატონს.

გოდოკნელი მუშა.

რუსეთი

სორმოვიდან დაითხოვეს ყაზახები, რომელთაც კარგი განწყობილება ჰქონდათ ადგილობრივ მუშებთან. მაგ ათ მაგიერ გაგზავნეს 10 მალოროს ული გრენადერთა პოლკი. (ნაშა ჟიზნ)

—

ეკატერინოსლავში, 1 ივლის შუალამისას გაიქცნენ 21 პოლიტიკური ტუსაღი, რომელთაც ბრალდებოდათ აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობა. ამათგან ერთად გაიქცა სადარაჯოდ დაყენებული ჯარის კაცი 210 პერეკოპის პოლკისა იან ზატორა. გაქცეულს დაუტოვებია თავის სალდათური ტანისამოსი, მხოლოდ ვინტოვკა თან წაუღია.

—

პეტერბურგის სააგენტო, იუწყება, რომ ვითომ სასახლის კომენდანტი გენერალი ტრეპოვი, სამსახურიდგან გამოდისო, საფუძველს მოკლებულიაო ეს ხმები .

—

ლოდზიდამ გამოწვეულია ვარშავის პოლკი, დასამშვიდებლად ვილნის პოლკისა, რომელიც დაბანაკებულია ქალაქ ვარშავაში და ემჩნევათ ჯარის კაცებს მღელვარება. შეიტყეს თუ არა ვარშავის პოლკის ჯარის კაცებმა, თუ რისთვის მოიყვანეს იგინი, მაშინვე მოითხოვეს რომ დაუყონებლივ დაებრუნებინათ ისინი სახლში. (XX ვეკ).

—

„პეტრეპავლის ციხეში მოხდარ არეულობის გამო გამოძიება, როგორც ეტყობა გაგრძელდება ორ თვეს მაინც, რადგანაც მარტო 40 კაცია შეკითხული 250 ჯარის კაციდგან. საქმეს იძიებს პოლკოვნიკი მორდვინოვი. ჯარის კაცთაგანი ჯერ არ არის არავინ დაჭერილი, თუმცაკი პოლკოვნიკ გრუშევოიმ რაპორტით მოახსენა არტილერიის უფროს რომ მთავარი დამწყობი არეულობისა ნ კაციაო და სთხოვდა, რომ მიექციათ მთავარ ყურადღება. გამგე კომანდისა შტაბ-კაპიტანი პოროხოვნიკოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, მხოლოდ პოლკოვნიკი გრუშევოსკი აკრძალული აქვს ლაგერში მისვლა. რადგანაც თავისი იქ ყოფნით აღელვებს ჯარის კაცთ. ჯარის კაცები ძლიერ მხნედ არიან, რადგანაც დარწმუნებული არიან თავიანთ სიმართლეში. (XX ვეკი)

უცხოეთი.

—

იტალიაში განაგრძობენ სულ ახალ და ახალ ანარქისტების შეთქმულობათა (заговоровъ) აღმოჩენას, რაც დიდ ჩოჩქოლს იწვევს ხალხსა და პოლიციას შორის; Echo de Paris-ს აუწყებენ რომ პოლიციამ მიაგნო ჯერეთ თავისთვის უცნობ ანარქისტის პარეტტის კვალს. უკანასკნელზედ ეპვი მიეტანეს კონტრაბანდში და სასტიკათ გაჩხრიკეს მისი სახლი ანკონში, მაგრამ თამბაქოს პაკეტების ნაცვლად რომელთა კონტრაბანდულათ მიღებაში ეპვი მიჰქონდათ პერეტტიზედ, აღმოაჩინეს სამი უკვე სასროლად დამზადილი ყუმბარა. ისინი თავის ფორმით ფორთეხლებს წაგავდენ და ჰგავდენ იმ ყუმბარებს რომელნიც მეფის ანკონში მოგზაურობის წინეთ პარიკმახერის მაღაზიაში იპოვნეს. პერეტტე იმ წამსვე დაიჭირეს ხოლო ყუმბარები კი გამოსაკვლევათ არტილერისტების ყაზარმაში გაგზავნეს.

კორესპონდენცია

—

სამტრედია. ნოქრებმა თავიანთ მდგომარეობა გაიუმჯობესეს და დღეს არავითარ დაჩაგვრას აღებისაგან არ გრძნობენ ეს დიდათ სასარგებლო და სასახარულო არის მხოლოდ მე მინდა მივაქციო ყურადღება ვისგან ჯერ არს, რომ მცირე წლოვან ყმაწვილებს ყურადღება მიაქციონ და თავისუფალი დღეები უბრალო ლაყმობაში და ქეიფობა კარტის თამაშში არ დაკარგვინონ.

ჩემი აზრით კარგი იქნება საკვირავო შკოლის დაარსება და მათთვის წერა-კითხვის სწავლება, თითქმის უმეტესობას ანბანის არა გაეგება რა რაც დიდათ სამწუხაროა გამოჩნდნენ იმისთანა ვაჭრები, რომლებიც სიხარულით მიეგებენ ამ განზრახვას. მაგალითად სამტრედიელმა ვაჭ. სოეფანე ტაბიძემ განაცხადა ჩემი მხრით ვალდებულათ გავხდი ჩემ თავს ამისთანა სიმპატიური საქმეს ნივთიერი დახმარება გაუწიოო. ეპვს გარეშეა ბ. სტეფანეს მიმბაძველნიც გამოიჩნდება და ამ სასარგებლო საქმეს განახორციელებენ. რითაც ჩვენ ახალგაზდა ნოქრებს უაზრო ხეტიალისგან იხსნიან. საჭიროა ყველა ამას ადგილობრივმა ორგანიზაციამ მიაქციოს ყურადღება და სისრულეში მოიყვანოს.

გარეშე

—

თელავი. კვირას 9 ივლისს, ქ. თელავის სობოროში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი შიო ჩიტაძის პატივსაცემად. ხალხი საკმაოდ დაეწრო. სიტყვებიც იქნა წარმოთქმული პანაშვიდის წინ და და შემდეგ. ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთმა ვერ დაახასიათა სავსებით შიოს მოღვაწეობა საზოგადო და უფრო მეტი საპედაგოგიო ასპარეზზე.

სხვათა შორის ტრიბუნაზე ავიდა ერთი ს.-დემოკრატთაგანი და თავის სიტყვას აგიტაციონური და პოლემიკური ხასიათი მისცა, მის მაგიერ, რომ შეკრების საგანზე ელაპარაკნა. თვითონ სიტყვაც არსებითად უშინაარსო იყო; ჯერ ყველაფერი ავტორიტეტზე დაამყარა და შემდეგ კიდევ სრულიად უარჰყო ყოველივე ავტორიტეტი. ასე და ამნაირად დიდი ხანი ილაპარაკა ისე, რომ ბევრი წავიდა კიდეც თავმობეზრებული. ბ-ნ როსტომაშვილს შენიშვნები უნდოდა მიეცა, მაგრამ დაარწმუნეს, რომ ღირსი არ არის პასუხისა და შეკრების საგანიც სულ სხვა არის, ორი მცირე შენიშვნით დაკმაყოფილდა. ბ-ნმა რ—შვილმა სხვათა შორის სთქვა, რომ პარტიები საჭირონი სრულიად არ არიან, არამედ საჭიროა ყველა ხელოსანთა დარგათ პროფესიონალურო კავშირები, შემდეგ ამ კანშირების კავშირი და, როცა მიაღწევენ მთელ ქვეყანაზე კავშირს კავშირთა კავშირების, მაშინ ვერავითარი ძალა ვერ წინააღუდგება მათ. მის შემდეგ წინანდელმა ორატორმა ვითომ თავი იმართლა, აღიარა პროლეტარიატი და ს.-დემოკრატია ერთ და იგივედ და ყველა სხვა პარტიები ბურჟუებად და ნაციონალისტებად გამოიყვანა. ასე რომ გაათავა და ერთს კიდევ უნდოდა სიტყვა წარმოეთქვა, ყველამ შესძახეს:

„ეხლა კი წავიდეთ, წავიდეთ... აღარ გვინდა... გავთთოდ... პური გვშიან...“ და სხვა ერთი სიტყვით აღარ უნდოდათ, რომ ს.-დემოკრატის შემდეგ ელაპარაკნა ვისმეს ამიტომ ნახმარი და გამოცდილი საშუალება იხმარეს ამას „პროტესტანტები“ და „შეგნებული მუშები“, რომელნიც სიტყვის ვისუფლებისათვის იბრძვიან.

—

დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

—

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ ბრძანება, რომ შეყენებულია ... ბები სახელმწიფო საბჭოსი 1906 წლის 20 თებერვლამდე.

„როსსია“ იუწყება, რომ ... ლიპინის სამინისტროში შეკ... საზოგადო ჯგუფის წარმომადგ... ნელნი.

პარიჟი. გაირჩა საქმე ბომბების ... სახებ, რომელიც ისროლეს ენაზ... ტყეში. ვიკტორ სოკოლოვი და ... ლი სპერანსკისა გამართლებ... იქმნენ, ხოლო ალექსანდრე სო... ლოვს მიუსაჯეს წლით დასა... მრება.

პეტერბურგი. 11 ივლის მიღ... გლეხები. სახელმწიფო სათათბ... წევრებად ნამყოფნი.

ოდესსა. კოლდავანკის უბ... მოხდა ხელმეორედ არეულობა. ... ზახებმა წესიერება აღადგინეს.

პეტერბურგი. გამოცხადებ... საომარ დროი წესები ტაგანროგ... ოლქში.

ვარშავა. უცნობებმა მოკ... ქუჩაში 2 მუშა.

რიბინსკი. ღამე გაკარცვეს ... ნის ღვთის-მშობლის ეკლესია. ... ცველნი მიიმალნენ.

ორიოლი მომკის დროშდე. ... ყვამ გააფუჭა გლეხების მოსავ... მთელ გუბერნიაში 21154 დესეტ...

უმანი. კრასიცკის მამულში გ... ხებმა დასწვეს 50 დესეტინამდე ...

ჩერნიგოვი. ნეჟინის ციხიდან ... იქცენ 30 ტუსაღი. ხუთი იმათგ... დაბრუნდენ უკან, 1 მოკლული ... სხვები კი ვერ იპოვეს.

სარატოვი. სარატოვის მაზრ... სოფ. შევირევკაში, გადასწვეს ... ტის ეკონომია.

კოვნა იურბურგში ცეცხ... გაანადგურა 300 სახლზე მეტი.

ევატეოინოსლავი ღამეს შეიარ... ღებული ჯგუფი დაეცა იუველ... ვარშავსკის, წართვეს ძვირფასი ნ... თები 6000 მანეთისა.

იაროსლავი. გაცარცვეს ეკ... სია, სოფელ ზელენკოვში, მიშ... ნის მაზრაში.

ვენა. რუსეთის რენტ ადეკ... აქაურ ბირჟაზე 2 1/2.

—

რედაქტორ გამომცემელი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ